საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის**

პ/N [redacted] მცხ.: [redacted]
[redacted] ბ. [redacted] ტელ.: [redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ **საკანონმდებლო წინადადება** - პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების ელექტრონული ასლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდის შესახებ
- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 27/03/2023 PDPS 0 23 00002039 და 07/04/2023 PDPS 7 23 00002423 წერილების ასლები

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-9481/23
"30" 06 2023 წ. ფურცელი

საქართველოს პარლამენტს

საკანონმდებლო წინადადება
პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების ელექტრონული ასლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ყველას აქვს უფლება** კანონით დადგენილი წესით **გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს,** გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად. კონსტიტუციით დადგენილი ზემოხსენებული შესაძლებობა ასევე განსაზღვრულია სხვა სამართლებრივ აქტებში. ასე მაგალითად - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე საინტერესო უნდა იყოს თუ რას აწესებს კანონმდებლობა, როგორც საჯარო ინფორმაციის, ასევე, პერსონაური მონაცემების შემცველი დოკუმენტის გაცემასთან დაკავშირებით

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად, <u>საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.</u> დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის <u>ასლის გადაღება არის</u> საჯარო ინფორმაციის <u>დედნიდან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით,</u> ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გარეშე <u>ინფორმაციის ზუსტად გადატანა (ჩაწერა, გადაღება) ინფორმაციის მატარებელზე (ფურცელი, კომპაქტური დისკი, დისკეტა, აუდიო და ვიდეოკასეტა).</u> ამასთან ამავე კანონის მე-7 მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების თანახმად, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არ გადაიხდევინება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფოსტით გაგზავნისას და ფიზიკური პირებისათვის საჯარო დაწესებულებაში მათზე არსებული პერსონალური მონაცემების ასლის გადაღებისას =>

მოცემული საკანონმდებლო აქტი სავარაუდოდ განპირობებულია მხარეთა ფინანსური/ ადმინისტრაციული რესურსების დაზოგვით და აღნიშნულის შესაბამისად, თუ დაინტერესებული პირი მოითხოვს დოკუმენტის ელ. ფოსტაზე მიღებას, იგი მიწოდებულ იქნება უპირობოდ, ყოველგვარი მოსაკრებლის დაანგარიშების საჭიროების გარეშე. ასევე, საგულისხმოა, რომ ამავე კანონით რეგულირდება პერსონალურ მონაცემების შემცველი დოკუმენტის მიღებაზე მოსაკრებლის განსაზღვრის დაუშვებლობა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ინფორმაციის მომთხოვნი პირის პერსონალური მონაცემები თავად ამ პირისათვის არ წარმოადგენს კონფიდენციალურ მონაცემებს, იგი შეიძლება განხილულ იქნეს იგივე ფორმით მისაღებად - როგორც ამას საჯარო ინფორმაციასთან მიმართებით საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხის „ბ" ქვეპუნქტი აწესებს

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური. ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 07/04/2023 PDPS 7 23 00002423 წერილის თანახმად, მოქმედი კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს არ ავალდებულებს განმცხადებლისთვის სასურველი ფორმით უზრუნველყოს თავისი მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის მისთვის ჩაბარება. ამ განმარტების შესაბამისად, გამოდის, რომ საჯარო ინფორმაციის საფუძვად, დაინტერესებულ ფიზიკურ პირს აქვს უფლება, რომ დოკუმენტი მიიღოს ელ. ფოსტაზე (თავისთავად ელექტრონუად), ხოლო მისი პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტის ელექტრონული ფორმით მიღებაზე კი გარანტიები არ იქმნება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 27/03/2023 PDPS 0 23 00002039 წერილის თანახმად, „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს 1981 წლის 28 იანვრის კონვენციის (რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 28 ოქტომბრის №2010 - IIს დადგენილებით) მე-8 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად[1], კონვენციით აღიარებულია პირის უფლება მიღოს მონაცემები არა აუცილებლად მისთვის ყველაზე სასურველი, არამედ ნებისმიერი ობიექტურად გასაგები, აღქმადი, **ხელმისაწვდომი** ფორმით. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს არ

[1] „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ" კონვენციის მე-8 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული პერიოდულობითა და გადაჭარბებული დაგვიანებისა თუ დანახარჯების გარეშე, მონაცემთა ავტომატიზებულ ფაილში მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების არსებობის ფაქტის დადასტურება, ასევე მისთვის მონაცემთა მიწოდება მისაღები ფორმით.

ავალდებულებს განმცხადებლისთვის სასურველი ფორმით უზრუნველყოს მის მომართვებზე საპასუხო კორესპონდენციის ანდა განმცხადებლის მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის მისთვის ჩაბარებას. => ანუ უფლებამოსილი თანამდებობის პირი თავად განსაზღვრავს, რომელი შეიძლება იყოს მასალის მისაღებად ჩემთვის ხელმისწავდომდომი ფორმა - მაგალითად კომპაქტ დისკზე ჩაწერილი სახით (მაშინ, როდესაც ახალ პროცესორებზე შესაბამისი მოწყობილობა არც კი იყოს დამონტაჟებული) ან სათანადო წესით დაუმოწმებელი სახით დოკუმენტების საფოსტო გზავნილით მოწოდება, მაშინ როდესაც მისი სამუშაო რეჟიმი არ იძლევა შესაძლებლობას - საცხოვრებელ მისამართზე მიიღოს მატერიალური მასალები ან თუგინდ კომპაქტ დისკითუ ელ. ფოსტაზე მასალის გამოგზავნა.

➲ **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** პერსონალურ მონაცემთა შემცველი ელექტრონული დოკუმენტის დაინტერესებული პირის მიერ ხელსაყრელი ფორმით მიღების შესაძლებლობაზე გარანტიების არ არსებობა.

უპირველეს ყოვლისა ხაზი უნდა გაესვას - საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლს, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით ეფექტიანად, სწორად და კოორდინირებულად წარმართოს საჯარო სამსახურში ორგანიზაციული პროცესი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად. ამასთან, იმ ვითარებაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოები ნებისმიერ დოკუმენტს გასცემენ მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით[2], ვფიქრობ, რომ დოკუმენტის ელექტრონული ფორმით მიღება, მითუმეტეს ელ. ფოსტაზე - ყველაზე ხარჯვითეფექტიანი გზა უნდა იყოს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ თავად მონაცემთა მომთხოვნი ფიზიკური პირი თავად განსაზღვრავს ელ. ფოსტის საშუაებით მასალის ელ. ვერსიის მიღებას, ადმინისტაციული ორგანოსათვის ყველაზე მისაღები ფორმა უნდა იყოს. თუმცა, მატერიალური ფორმით მასალის მოთხოვნის შემთხვევაშიც, გათვალისწინებული უნდა იქნეს დაინტერესებული პირის მიერ შესაბამისი ძალის მქონე დოკუმენტის ფლობის სურვილიც. ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად,

---

[2] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35[1]-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმისწარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით გამოიყენოს პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები; ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით, თუ დაინტერესებული პირის მიერ არჩეული არ არის ამ თავით განსაზღვრული ინფორმაციის მიღების სხვა ფორმა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ან გაცემულ დოკუმენტში მონაცემები შეიძლება შეტანილ იქნეს მექანიკური ან/და ელექტრონული საშუალებებით.

- ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ არის დამოწმებული ან/და დადასტურებული.
- მატერიალური დოკუმენტის ელექტრონულ ასლს ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ ანდა ელექტრონული შტამპით არის დამოწმებული ან/და დადასტურებული.

იმისათვის, რომ 108-ე კონვენციას სათანადოდ ეპასუხა ციფრული ეპოქის გამოწვევებისათვის და დანერგილიყო მისი ეფექტური აღსრულების მექანიზმი განხორციელდა კონვენციის მოდერნიზაცია, რომელიც ევროკავშირის მონაცემთა დაცვის წესების რეფორმის პარალელურად განხორციელდა. პროცესში აქტიურად იყო ჩართული საქართველოც. მოდერნიზების პროცესი დასრულდა კონვენციის CETS No. 223 შესწორების ოქმის მიღებით .ამასთან, საგუისხმოა, რომ მოდერნიზებული 108-ე კონვენციის განმარტებითი ბარათი (ბარათი, პუნქტი 68), სადაც აღნიშნულია, რომ მონაცემთა სუბიექტებისათვისმიწოდებული ინფორმაცია „უნდა იყოს **ადვილად ხელმისაწვდომი,** გარკვევით შედგენილი, გასაგები და მონაცემთა სუბიექტებზე მორგებული. GDPR-ის მე-12 მუხლი მონაცემთა დამმუშავებლისთვის ფართო და ყოვლისმომცველ მოვალეობებს განსაზღვრავს ინფორმაციის გამჭვირვალობისა და/ან მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების კუთხით, თუ როგორ შეუძლიათ სარგებლობა საკუთარი უფლებებით. ინფორმაცია უნდა იყოს მოკლე, გამჭვირვალე, გასაგები, იოლად აღსაქმელი და მარტივი ენით შედგენილი. მონაცემთა სუბიექტებს ის უნდა მიეწოდოთ წერილობითი ფორმით, **საჭიროების შემთხვევაში, ელექტრონულად.**

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ საქართველოს კანონმდებლობა დოკუმენტის ასლის მიღებისათვის ქმნიდეს ანალოგიურ პრინციპებს, მათ შორის უსასყიდლ ოდ და შეუფერხებლად ელ. ფოსტაზე ინფორმაციის/ დოკუმენტაციის მიღებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხის მე-5 პუნქტში შევიდეს ცვლილება - რომლის შესაბამისად მონაცემთა სუბიექტისათვის დოკუმენტის ასლის მიწოდება განხორციელდება მისთვის ხელსაყრელი ფორმით, მათ შორის დოკუმენტის ასლების ელ. ფოსტაზე მიღების გზითაც(ნებისმიერი მოთხოვნილი ელ. ფორმით) (მოთხოვნის მესრულების თაობაზე)

- თუ ადმინისტრაციულ ორგანოს, მოქალაქის თხოვნა პერსონალური მონაცემების მიღებაზე,აფერხებს რიგი ადმინისტრაციული ან ტექნიკური პრობლემები/ გამოწვევები - ამისათვის მას შეუძლია დააწესოს შესაბამისი მოსაკრებელი და არა ამ მოტივით შეუზღუდოს მისთვის ხელსაყრელი თუ სანდო ფორმით მიიღოს საჭირო მასალა.

❖ **საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი:**

საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძე, პირადი ნომერი [redacted]

მცხ.: [redacted] საფოსტო ინდექსი [redacted]

ელ. ფოსტა: [redacted]

17/06/2023